საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ქალაქ ჩხოროწყუს
საგანმანათლებლო რესურსცენტრი

Ministry of Education, Science and Youth of Georgia

Educational Resource Center of chkorotsku

04/12/2025

MES 8 25 0001732175

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს,
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო– ქალაქ ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

წარმოგიდგენთ ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2015 წლის 8 დეკემბრის N56 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ეკატერინე ქარჩავა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და ამავე კოდექსის III თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემა/არგაცემის სტატისტიკასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ ქალაქ ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის ანგარიშს:

ა) ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრში მიმდინარე წელს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნა არ შემოსულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე რესურსცენტრში მოთხოვნა არ შემოსულა. ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნა არ შემოსულა შესაბამისად არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5000 ქალაქი ჩხოროწყუ დავით აღმაშენებლის N14
N14 DAVIT AGMASHENEBELI STR. chkorotsku
chkorotsku@mes.gov.ge 242263279

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ მომხდარა.

ზ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის ,,ზ'' პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრს მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა. აქედან გამომდინარე არ გვაქვს ინფორმაცია გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების და მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების თაობაზე.

ამასთან ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის წლიურ ანგარიშს წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	**რაოდენობა**
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.	0
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე.	0
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული.	0
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული.	0
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე.	0
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე.	0
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ.	0
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.	0

პატივისცემით,

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი/ქალაქ ჩხოროწყუს
საგანმანათლებლო რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
კვირტია ლელა